გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
დადგენილება № 4
2023 წლის 10 თებერვალი
ქ. გორი

„გორის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „გორის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 იანვრის №2 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 16/01/2023; 010250050.35.148.016733) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ, ცერებრალური დამბლით, აუტიზმით, დაუნის, სინდრომით, კაზაბახ – მერიტის სინდრომით არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევების მქონე (ფენილკეტონურია, სხვა ჰიპერფენილალანემია ICD E70.0 – E70.1), გლუტენის დაავადება (ცელიაკია ICD K90.0), კანის ქრონიკული (თანდაყოლილი იქთიოზი ICD Q80), ჰიდროცეფალიით და ოჯახური ხმელთაშუაზღვის ცხელებით დაავადებული ადამიანების სამედიცინო და სოციალური დახმარება“;

ბ) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლს დაემატოს მე-4^1 პუნქტი: შემდეგი რედაქციით:

„4^1. (0-დან 18 წლამდე) კაზაბახ – მერიტის სინდრომით დაავადებული ბავშვების სამედიცინო კვლევების თანადაფინანსება განისაზღვროს არაერთჯერადად წლიური ლიმიტის 2000 (ორი ათასი) ლარის ამოწურვამდე“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე .

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე